

ქუთაისის სახრეალოს დაჯიბაბა
„ნაციონალური მოძრაობა“
დაბოვას

დასაწყისი მ-2 გმრლხე

ეს ქალაქის ინტერესების დაცვა იყო და იქნება. რას და როგორ გააკეთებს ახალი ფრაქცია, ამას დრო და საზოგადოება ნახავს. ასევე, საზოგადოება შემიფასებელი თითოეული მათგანის ამ გადაწყვეტილებების, - განმარტავს ამირან ხვალაიანი.

ანალოგიურ შეფასებას აკეთებენ საკრებულოს უმრავლესობის სხვა წარმომადგენლებიც. „ქარგია, რომ საკრებულოს კიდევ ერთი ფრაქცია დაემატება და ამით ქალაქის საკანონმდებლო ორგანო გაძლიერდება. ამ ეტაპზე ამაზე მეტკომენტარს და შეფასებას ვერ გავაკეთებთ. რადგან, ყველამ იცის, თუ რამდენად აქტიურები იყვნენ საკრებულოს სხდომებზე ის ადამიანები, რომლებიც დღეს ახალი ფრაქციით არიან წარმოდგენილი“, - განმარტავს საკრებულოს უმრავლესობის წევრი მერაბ მეშველიანი.

„ეტიკაშია მიოლაპარაკეს ბიჭებმა, რომ გაერთიანებული იყვნენ და გაერთიანდნენ. მე ვერ და არ ვიქნები მათი ნაბიჯის შემფასებელი. თუკი ხურალიძეს თავის თანაგუნდლებთან ჰქონდა რაიმე პრობლემა, ან შენიშვნა, ეგ უნდა ეთქვა და არა ჩუმად მიედო რაღაც გადაწყვეტილება. ვინ სადაც არ უნდა იყოს, საკრებულო მაინც ერთ საქმეს გააკეთებს და ეს ყველამ კარგად იცოდეს“, - განმარტავს საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე დავით გოგისვანიძე.

ქუთაისის საკრებულოში ახალი ფრაქციის „ქუთაისის“ დამტკიცების შესახებ განცხადება უკვე შევიდა. „შემოვიდა განცხადება, რომელსაც განვიხილავთ და დამტკიცდება“, - ამბობს საკრებულოს აპარატის უფროსი ვანო ჟორჯოლიანი.

ქუთაისის საკრებულოში ამდრომდე სულ სამი ფრაქცია იყო წარმოდგენილი: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქცია, „მაჟორიტარების“ ფრაქცია და „ქრისტიან-დემოკრატიული“ ფრაქცია.

შეგანსებთ, რომ კახა ხურალიძე და გიორგი სინარულიძე ქუთაისის საკრებულოში 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით მოხვდნენ.

კახა ხურალიძე საკრებულოს დეპუტატობის პარალელურად, არის დასავლეთ საქართველოს ეროვნული სამედიცინო ცენტრის დამფუძნებელი, იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი. ხოლო, გიორგი სინარულიძე ქუთაისის მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მმართველია.

newpress.ge

ზენოლა პოლიტიკური ნიშნით

დაჭერები, თხსსათიანი დაკითხვები, სამსახურიდან გათავისუფლებები და ჩამორიყული ქონება - ძირითადად ასე გამოიყურება ყველა ის ფაქტი, რომელიც იმერეთის რეგიონში, საარჩევნო პერიოდში არცთუ იშვიათობას წარმოადგენდა. თითოეული საქმის უკან კი პოლიტიკური მოტივი იდგა.

თეა ზიზიბაძე

ქუთაისსა და იმერეთში პოლიტიკური ნიშნით ზეწოლაზე მხოლოდ ერთ პოლიტიკურ ძალაში - კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ საუბრობდნენ. ყველაფერი კონტროლის პალატაში კოალიციის მხარდამჭერთა დაკითხვებით, ჯერ კიდევ მაისში დაიწყო და ის თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელდა.

2 მაისს, კოალიცია „ქართული ოცნების“ ქუთაისის ოფისის მეპატრონის ზურაბ ჟორჯოლიანის დაკითხვა კონტროლის პალატაში 4 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. კონტროლის პალატის ქუთაისის ოფისში მისულ ფართის მეპატრონეს კოალიციისთვის ოფისის მიქირავების მიზეზებს ეკითხებოდნენ.

„ოთხი საათის განმავლობაში მეკითხებოდნენ, თუ რატომ, როდის და რა პირობებით მივაქირავე ფართი ამ პოლიტიკური სუბიექტებს. ან საიდან გაიგეს, რომ მე სახლს ვაქირავებდი? არის თუ არა ჩვენს შორის რამე გაირიგება? - ასეთ უაზრო და დამლოელ კითხვებს მისვამდნენ. სახლი გვაქირავე, რადგან ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მიხდოდა და თახხა მჭირდებოდა. ამისთვის თვეში 1000 ლარს ვღებულობ. ჩემთვის რა მნიშვნელობა უნდა ქონდეს, ვინ იქირავებს ფართს? მთავარია, გადამიხადონ. მაგრამ ესენიც ხომ არიან ქართველები, კაცო?! რატომ არ უნდა მიმექირავებინა სახლი?“ - ამბობს ზურაბ ჟორჯოლიანი. რომლის მსგავსად, ქუთაისის კონტროლის პალატაში დაკითხვაზე კიდევ 22 ადამიანი დაიბარეს. თუმცა, საბოლოოდ არცერთი მათგანის მიმართ პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა.

სამაგიეროდ, კონტროლის პალატაში განხორციელებული დაკითხვებიდან დაახლოებით ერთ თვეში „ოცნებელთა“ საქმემ პოლიციის განყოფილებაში გადაინაცვლა.

პოლიციის სამხარეო სამმართველოში 7 ივნისს „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლების - გრიგოლ ამბროლაძის, მიხეილ მესხისა და მიხეილ ამაშუკელის დაკითხვები დაიწყო. დაკითხვაზე, წყალტუბოს და ზესტაფონის წარმომადგენლებიც დაიბარეს. გამოძიება მათ ამომრჩეველთათვის მატერიალური დაპირების გადაცემის შემცველი ბლანკების დარიგებას ედავებოდა.



დაკარგული აქტივისტები მხოლოდ არჩევნების შემდეგ გაათავისუფლდნენ

საქმე, რომელიც ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტს ეხებოდა, ქუთაისის სამი აქტივისტისთვის დაკავებით დასრულდა.

ყველაზე ხანგრძლივი საქმე საარჩევნო პერიოდში დააკავალთა ისტორიაში

ქუთაისში დაკითხვაზე მყოფი კოალიცია „ქართული ოცნების“ სამი აქტივისტი - გრიგოლ ამბროლაძე, მიხეილ მესხი და მიხეილ ამაშუკელი პროკურატურამ 7 ივნისს, ამომრჩევის მოსყიდვის ბრალდებით დააკავა. ხოლო ორ წევრს გირაოს სახით 3000-3000 ლარის გადახდა დაეკისრა.

„აღნიშნული პირების მიერ გამოძიებისათვის მიცემული ჩვენებების, აგრეთვე სხვა მოწმეთა ჩვენებების, მედია საშუალებებით გავრცელებული აუდიო-ვიზუალური ინფორმაციებისა და ოპერატიული ჩანაწერების საფუძველზე, საქართველოს პროკურატურამ მიიჩინა, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი გრიგოლ ამბროლაძის, მიხეილ მესხისა და მიხეილ ამაშუკელის ამომრჩევის მოსყიდვის ბრალდებით პასუხისმგებაში მიცემისათვის (დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 1641-ე მუხლით). ზემოთ თქმული გარემოებებიდან გამომდინარე, 2012 წლის 7 ივნისს, აღნიშნული პირები დაკავებული იქნენ ბრალდებულის სახით,“ - ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ბრალდებულების სახით დაკავებულებს პატიმრობა მეორე დღესვე მიესაჯათ. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მიხეილ მესხს, გრიგოლ ამბროლაძესა და მიხეილ ამაშუკელს აღმკვეთი ღონისძიების სახით, წინასწარი, ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

სასამართლო სხდომაზე ქუთაისის პროკურატურის პროკურორის, დავით ხარაიშვილის მტკიცებით, ბრალდებულები მართავდნენ მოსახლეობასთან შეხვედრებს და მათ 10 ივნისს, ქუთაისში გასამართ აქციაზე მისვლისა და პოლიტიკური მხარდაჭერის სანაცვლოდ, 1000 ლარის ოდენობის ფულადი თანხის, ან სხვა ქონების გადაცემას პირდებოდნენ.

სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარე „ქართული ოცნების“ წევრებისთვის აღმკვეთი ღონისძიების სახით 3-წლიან პატიმრობას ითხოვდა. ქუთაისის პროკურატურის პროკურორი, დავით ხარაიშვილი აღნიშნულ მოთხოვნას იმით ასაბუთებდა, რომ ბრალდებულების მხრიდან არსებობდა ახალი დანაშაულის ჩადენის, მტკიცებულებების განადგურებისა და მოწმეებზე ზეწოლის საფრთხე.

დაკვის მხარემ კი ბრალდებულებისათვის მსუბუქი სასჯელი მოითხოვა და სასამართლოს გირაოს გადახდა შესთავაზა, რადგან მათი თქმით, პროკურორის მოთხოვნა არ იყო დასაბუთებული და მტკიცებულებებით გაჯერებული. აღნიშნული მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლომ ბრალდებულებს წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა.

ბრალდებულების ინტერესებს საიას ქუთაისის ფილიალის ადვოკატები - გიორგი ჭიჭაბერიძე და რეზო თოფურია იცადნენ.

ორთვიანი პატიმრობის შემდეგ, 17 ივნისს გამართულ პროცესზე სასამართლომ „ოცნების“ აქტივისტებს ბრალდება არ მოუხსნა. წინა სასამართლო სხდომა დაახლოებით 5 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. ადვოკატების განცხადებით, სასამართლომ დაკვის მხარის არც ერთი შუამდგომლობა არ გაითვალისწინა.

31 ივლისს გამართული მორიგი სასამართლო სხდომა კი პროკურორ დავით ხარაიშვილის შუამდგომლობით გადაიდო. მიზეზად მტკიცებულებების არასაკმარისი რაოდენობა დასახელდა.

პროკურორმა იგივე შუამდგომლობითა და ანალოგიური მიზეზით სასამართლოს 21 ავგისტოს სხდომაზეც მიმართა და კვლავ პროცესის გადადება ითხოვა. ისევე, როგორც პროკურორმა პროცესი გადადო 9 სექტემბერს. ამომრჩევის მოსყიდვის მცდელობაში ბრალდებულთა პროცესი 26 სექტემბრისთვის, ასევე, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე გადაიდო. თუმცა, 26 სექტემბერს გამართული სხდომა, დაახლოებით 10 წუთს გაგრძელდა და ისიც პროკურორის შუამდგომლობით შეწყდა, რადგან ამ უკანასკნელმა მოწმეები კვლავ ვერ წარმოადგინა.

„მე მეგონა სასამართლოში მოვედი, მაგრამ ამას სასამართლო არ ჰქვია. საპარლამენტო არჩევნებამდე წყლავენ დროს. მანამდე გადაწყვეტილებას არ გამოიტანენ,“ - განაცხადა ერთ-ერთი ბრალდებულის, მიხეილ მესხის მამილამ ელენე მესხმა.

დაკავებულთა სასამართლო პროცესი სწორედ არჩევნების შემდეგ შედგა. 26 ოქტომბერს ჩანიშნულმა სხდომამ 5 ოქტომბერს გადმოიწია. ხოლო პროცესი დაკავებულთა გათავისუფლებით დასრულდა.

მიხეილ მესხს, მიხეილ ამაშუკელსა და გავა ამბროლაძეს თავისუფლების სანაცვლოდ სასამართლომ 2 000- 2 000 ლარიანი გირაოს გადახდა დაეკისრა.

პატიმრობიდან გათავისუფლებული „ოცნების“ აქტივისტები აცხადებენ, რომ 5 ოქტომბერს სამართლიანობა აღსდგა.

არჩევნების სახელით

„ეს არის ის სამართლიანობა, რასაც ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ პირდაპირ ქართველ ხალხს,“ - განაცხადა ერთ-ერთმა ბრალდებულმა მიხეილ ამაშუკელმა, რომელმაც სხვა დაკავებულებთან ერთად ქუთაისის №2 ციხეში 4 თვე გაატარა.

„საიას ქუთაისის ფილიალი ანორციელებდა რამდენიმე პირის დაცვას სისხლის სამართლებრივ და ადმინისტრაციულ საქმეებზე. ეს პირები დაკავშირებული იყვნენ „ქართულ ოცნებასთან“. ისინი მიიჩნევენ, რომ მათ არანაირი დანაშაული და ადმინისტრაციული გადაცდომა არ ჩაუდენიათ და მათ დაკავებას ადგილი ჰქონდა პოლიტიკური ნიშნით.

თუმცა, იმ ეტაპზე სასამართლომ არ გაითვალისწინა ჩვენი ახსნა-განმარტებები, რომ ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფ პირებს არ ჩაუდენიათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და არ არსებობდა მათთვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების საფუძველი. აგრეთვე, ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტზე დაკავებულ პირებზე არ არსებობდა დანაშაულის ნიშნები და მათთვის პატიმრობის შეფარდების საფუძველი.

ხოლო არჩევნების შემდეგ, სახელმწიფო ორგანოებმა გამოიყენეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არსებული ნორმა ე. წ. პროკურორის პროტესტი და მიმართეს სასამართლოს ყველა იმ პირის მიმართ ადმინისტრაციული პატიმრობიდან ვადანა დასრულდა გათავისუფლების თაობაზე, რომლებიც წინასაარჩევნო დაკავებს. ხოლო ამომრჩევლის მოსყიდვის ბრალდებით დაკავებული პირები, გათავისუფლდნენ პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე. რაც მიანიშნებს იმაზე, რომ მათი მოსაზრება, რომ ეს იყო პოლიტიკური ნიშნით დაკავება, შესაძლოა იყოს გაზიარებული“, - აცხადებს სიას ქუთაისის ფილიალის ადვოკატი გიორგი ჭიჭაბერიძე.

პოლიტიკური ნიშნით დაკარგული სამსახური

მანანა მიქაძე, ვინაა ქობალიანი და ომარ ნიშნიანიძე ის ადამიანები არიან, რომლებმაც ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორობიდან „ოცნებაში“ გადაინაცვლეს.

მანანა მიქაძე, რომელიც ქართული ენის მიმართულებით სრული პროფესორია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გასული წლის ივნისში გაათავისუფლეს. რასაც შემდეგ სასამართლო დავა მოჰყვა მიქაძის მხრიდან. ის სამსახურში აღდგენის, იძულებითი განაცდურის, მატერიალური და მორალური ზარალის კომპენსაციას მოითხოვდა. თუმცა პროცესი ყველა ინსტანციაში წაავი, რის გამოც, მოთხოვნები ამ



წინასაარჩევნო გლობალ-TV-ის ქონება იმერეთში დააყადლეს

დრომდე არ შესრულებულა.

მანანა მიქაძისგან განსხვავებით, მოთხოვნები არ წამოუყენებია ვინაა ქობალიანსა და ომარ ნიშნიანიძეს, რომლებიც, ასევე, მათ გათავისუფლებას პოლიტიკურ მოტივს უკავშირებდნენ. ისინი უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ოფიციალურად აკადემიურ შევბუღებაში გაუშვა.

ლექტორების გარდა, პოლიტიკური ნიშნის გამო, პრობლემები შედეგადგებასაც შეექმნათ. „საჩხერის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლიდან 6 პედაგოგი გაათავისუფლეს. ექვსივე მათგანმა პირველი ინსტანციის სასამართლოში დავა წაავი. პედაგოგები აცხადებენ, რომ პოლიტიკური ნიშნით არიან გათავისუფლებულნი“, - განაცხადებს „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ქუთაისის ფილიალის წარმომადგენლებმა წინასაარჩევნო მონიტორინგის შედეგების პრეზენტაციაზე.

საიას ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორის ნოდარ ჭიჭიას მოთხოვნით, საჩხერელი მასწავლებლები ბიძინა ივანიშვილისათვის მოქალაქეობის აღდგენის მიზნით, ხელმოწერების შეგროვების კამპანიაში იყვნენ ჩართული. პედაგოგებმა სკოლის ადმინისტრაციებისგან მიიღეს გაფრთხილება იმის შესახებ, რომ საკუთარი facebook-ის გვერდიდან „ქართული ოცნების“ ლოგო აეღოთ. როგორც ჭიჭია ამბობს, პედაგოგებმა „სკოლის ხელმძღვანელობის“ დავალება არ შეასრულეს, რასაც შესაბამისი რეაგირება მოჰყვა.

„შედეგად შრომის კოდექსის გამოყენებით, პედაგოგები გაათავისუფლეს. სამწუხაროდ, ჩვენი შრომის კოდექსი იტანს ამგვარ შემთხვევებს“, - ამბობს ნოდარ ჭიჭია. პედაგოგებს საქმე

შემდგომ ინსტანციაში აღარ გაუშუაჩივრებიათ.

წინასაარჩევნო პერიოდში სამსახურის გარეშე დარჩა ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომელი, მწერალი ცირა ყურაშვილიც. მისი განცხადებით, ის პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს.

„დირექტორმა დამიბარა და გათავისუფლების მიზეზად ოპტიმიზაცია დამისახელა. ჩემთვის გათავისუფლება მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ჩემს პოლიტიკურ შეხედულებებს არასოდეს ვმალავდი. ამიტომ, მზად ვიყავი ამისთვის. კოალიციაში ჩემი საქმიანობის გაგრძელებს ვაპირებ“, - ამბობს ცირა ყურაშვილი.

ქუთაისის ი. ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი ნარგოზა ჩოგოვაძე უარყოფს ინფორმაციას ცირა ყურაშვილის პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების თაობაზე. მისი თქმით, თანამშრომლის გათავისუფლების პოლიტიკური მოტივის შესახებ ურნალობისტებისგან შეიტყო. ნარგოზა ჩოგოვაძე აცხადებს, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობს იპტიმიზაციის პროცესი, რამაც განყოფილების შეერთება და კადრების შემცირება გამოიწვია.

პოლიტიკურ დევნაზე საუბრობს „რესპუბლიკური პარტიის“ ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ნატო ქათამაძეც, რომელიც ეროვნულ საგამოცდო ცენტრში კურატორის პოზიციიდან გაათავისუფლეს.

„ეროვნული გამოცდების დაწყების დღიდან, მე ქუთაისის ეროვნულ ცენტრში ვარ. საქმიანობის მხრივ, არანაირი პრობლემა არ შექმნილა. მანამდე ვიყავი ოპოზიციაში და აქტიურ საქმიანობას ვეწეოდი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბიძინა

ივანიშვილი გამოჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე, ხელისუფლებამ კონტროლი დაკარგა,“ - აცხადებს ნატო ქათამაძე.

ქუთაისის საგამოცდო ცენტრის ადმინისტრატორი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ზეინაბ ხაჩიძე, ნატო ქათამაძის პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებას გამოირიცხავს და მიღებულ გადაწყვეტილებას როტაციის პრინციპით ხსნის.

ანგარიშგორება

„გლობალ TV“-ის ანტიპროპაგანდა სამსახურიდან გათავისუფლებას, ქუთაისისა და იმერეთში ქონების დაყადლება მოჰყვა. სამტრედიის რაიონის სოფელ დაფნარში მდებარე „გლობალ TV“-ის ოფისი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დალუქეს.

თავად სოფელ დაფნარის მოსახლეობის განმარტებით, „გლობალ TV“-ის მიერ შეთავაზებული ანტიპროპაგანდა განსაკუთრებით დასახურებში დასაქმებული ოჯახები თავს იკავებდნენ.

„ჩვენ არ დავვიდვით, რადგან სოციალურ დახმარებას ვღებულობთ. ვინმეს გაღიზიანებისგან თავი შევიკავებ“, - ამბობს ადგილობრივი მკვიდრი სალომე კუტალაძე.

კომპანია „გლობალ TV“-ს საწყობი სამართალდამცავებმა ნაწილობრივ დაუყადლეს. შემდეგ - ქვეტირშიც. კომპანიის წარმომადგენლების თქმით, ტექნიკური პერსონალი სამარ-

თალდამცავებმა საცხოვრებელი სახლიდან, ძალის გამოყენებით გამოაძევა.

„ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. შემოვივინე სახლში და აბსოლუტურად ყველა გამოვიყვანეს გარეთ,“ - აღნიშნა „გლობალ TV“-ს მენეჯერმა ნოდარ კამკამიძემ. აღნიშნული პრობლემა მხოლოდ არჩევნების შემდეგ მოგვარდა.

ჯანოვან კომისიის ნებრეზა

კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ წევრებზე მუქარა და დაშინება მხოლოდ დაკავებით და ქონების დაყადლებით არ დასრულდება.

კოალიციის წყალტუბოს შტაბის ხელმძღვანელი ნატო ქათამაძე განმარტავს, რომ არჩევნების წინა სადამოს, წყალტუბოს პოლიციის განყოფილებიდან საუბრო საარჩევნო კომისებში მათ წევრებს დაუბრუნეს და არჩევნებიდან მეორე დღეს ყველას პოლიციის განყოფილებაში გამოცხადება მოსთხოვეს.

„ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ დაშინებისთვის გამიზნული. პოლიციაში გამოცხადების მიზეზად ეუბნებოდნენ, რომ თითქმის მათ კოალიციიდან რაღაც თანხები მიიღეს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ბუნებრივია, იმოქმედა მან კომისიის წევრებზე, ბევრმა დაგვირგვა და გვითხრა, რაც მოხდა. თუმცა, ყველამ ეს არ გააკეთა. ცოტა ხნის წინ მომავლოდეს ინფორმაცია, რომ არჩევნების დღეს, ფარცხანაყანების ერთ-ერთ უბნის კომისიის წევრთან მივიდნენ „ნაციონალები“ დილის 5 საათზე და „თვალის დახუჭვის“ სახანჯლოდ 4000 ლარი მისცეს. თუმცა, ყველას მოსყიდვა და დაშინება ვერ მოახერხეს“ - აცხადებს ნატო ქათამაძე.

კოალიციაში საკუთარი წევრების მიმართ დაშინების ფაქტებზე არჩევნების დღესაც განაცხადეს. კენჭისყრის დღეს, ქუთაისის მაჟორიტარმა კანდიდატმა გუბაზ სანიკიძემ სადავებო განცხადება გააკეთა. სანიკიძის თქმით, კოალიციის ერთ-ერთ წევრს, გელა გომაძეს უცნობმა პიროვნებამ დაუბრუნა და ოჯახის ამოწყვეტით დაემუქრა.

კოალიციაში აცხადებენ, რომ არჩევნების შემდეგ ეს ხალხი აღარავის განსენებია. თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ არჩევნები სხვა შედეგებით დასრულებულიყო, ძალიან ბევრი მათი მხარდამჭერი ციხეში აღმოჩნდებოდა.

UNDEF The United Nations Democracy Fund
სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი CIVIC DEVELOPMENT INSTITUTE

სტატია მომზადებულია გავროს დემოკრატიის ფონდის მხარდაჭერით. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს გავროსის ინსტიტუტის ორგანიზაციისა და გავროსის ინსტიტუტის ეროვნული ფონდის შეხედულებებს.